აქვს წყალი. წყალი შარშან გაა-



კეთეს, შევარდნაძე ესწრებოდა
ამის გახსნას, მაგრამ რად გინ-
და, უფარგისი წყალი გამოდგა.
70 ათასი გადაიხადეს ამის გაკე-
თებაში და უფარგისი წყალია.
გვაგვიყენებ ხალხს, ვითომ ანა-
ლიზს გააკეთებენ და იტყვიან
კარგიაო.

- თქვენ რატომღა ამბობთ, ცუდიაო?

- ხალხი ინამლება, ბავშვები
ინამლებიან. პირადად ჩემი მეუ-
ღლე მაგ წყალს დალევს და
კვდება კუჭის ტკივილით. ეხლა
გუდარეხის წყალი მოიტანა ორი
კვირაა და აღარ სტკივა.

საუბარში მეორე ქალი ერთ-
ვება:

- სანამ ამ წყალს გამოიყვან-

დნენ, სხვა წყალი
გვექონდა. ის კარგი
იყო, მაგრამ მარ-
ტო ერთგან მოდი-
ოდა და ვერ ყოფ-
ნიდა სოფელს. ახ-
ლა ცხრა ადგილზე
მოდის, მაგრამ უვ-
არგისია.

- მუდმივად მოდის თუ გრაფი- კით?

- გამოშვები-
თაა, იქ ცისტერნა
დადგეს, რომელს-
აც შიგნით ჟანგი
ჰქონდა. კრასკა წა-
უსვებს, გემისაო
ვითომ, მაგრამ ჟა-
ნგი მაინც იმდენია
ახლა შიგ, რომ
სულ წითელია წყა-
ლი და იმას სვამს
მთელი სოფელი.

- ვისი თანხე- ბით გაკეთდა წყა- ლი, იცით?

- რისი ფული
არ გამოიყო აქ, მა-
გრამ ჩვენამდე არ-
აფერი მოსულა, რა
ვიცი. აგერ, იმ შე-
ნობას ხედავთ ნა-
ბოსლარს რომ
ჰგავს, ეგ ჩვენი სკოლაა. ბავშვე-
ბი სოფელში ბევრი არიან, მაგრ-
ამ სკოლაში რომ წავიდნენ, მერ-
ხები არ იყო, რომ დამსხდარიყ-
ვენ. 13 წლის წინათ სკოლაში
ყველაფერი გვექონდა, ახლა არ-
აფერი აღარ არის.

- ეს სოფელი არის უპატრო-
ნო, არავინ არის მიმხედი. 120
ოჯახი ცხოვრობს. სახლები უფ-
რო მეტზეა აშენებული, მაგრამ
ცხოვრების პირობები არ არის
და ხალხი არ მოდის.

- ნუთუ სოფელში ყველას ასე უჭირს?

- 120-დან ათი ოჯახი კარგ-
ად ცხოვრობს, დანარჩენები ვი-
ხოცებით. მე მაგალითად, სკო-

ლაში დამლაგებლადაც ვმუშა-
ობ, 9 ლარი მაქვს ხელფასი და 2
წელია არ ამიღია, - ამბობს "ბუ-
ტკის" გამყიდველი.

ახალგაზრდა ფეხმძიმე ქა-
ლი, რომელიც თურმე მეხუთე
ბავშვს ელოდება ამბობს:

- გუშინ ჩემი მეზობლის ბავ-
ში გახდა ამ წყლით ცუდად.
არა აქვთ საშუალება, წავიდნენ
და სხვა წყალი მოიტანონ...

- აადულეთ მაინც...

- გვითხრეს, აადულეთო, მა-
გრამ, რომ ადულდება, რალაც
თეთრი ხდება და ფერფლივით
მსხვილ ნალექს იკეთებს. დილ-
ით აღებული წყალი სალამოსთე-
ის მუავდება, საშინელი გემო ექ-
ლევა. ერთ დღეს რომ დატოვო,
მეორე დღეს სუნინანი და მუავება.

- ჟურნალისტებს ყველაფე-
რი ხომ გაინტერესებთ, - გვეკი-
თება მუახნის ქალი და პასუხს
არ ელოდება, - აი, იქ ბაქო-ჯეი-
ჰანი გადის. სოფელში ყალბი სა-
ბუთები გააკეთეს და ათასები
აიღეს, გაჭირვებულ ხალხს კი
არაფერი შეხვდა.

- ძაან უჭირს ამ სოფელს, ძა-
ან, - ძლივს ხმა ამოიღო "ბუტკი-
ის" ჩრდილში ჩუმად მჯდომმა
კაცმა.

- ასეთ დღეში რომ ხართ, მალე არჩვენები იქნება და ვის მისცემთ ხმას, როგორი მაჟო- რიტარი გინდათ გყავდეთ?

- ჩვენი მაჟორიტარი ბეჟუაშ-
ვილია, ხომ იცით? რალაც-რა-
ლაცეებს კი გვიკეთებს, მაგრამ...

- იმას მივცემთ ხმას, ვინც
სოფელს მოხედავს და ცოტა
ფეხზე დააყენებს. თორემ ერ-
თიანად დაგწერთ განცხადებას
და წავალთ აქედან, აქ ცხოვრე-
ბა არ შეიძლება, - ასეთი დანა-
ბარებით გამოგვისტუმრეს ხაი-
შელებმა.

**P.S. შეგახსენებთ, რომ სოფ-
ელ ხაიშის წყალმომარაგებისა-
თვის "სიფ"-მა 97 955,4 ლარი
მისცა თეთრიწყაროს რაიონს.**



"ძლევანი საკვირველი"



ჯაბა საგუნი

დიდგორის ბრძოლას გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. ეს გამარჯვება დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის, ქვეყნისათვის თავდადების სიმბოლოა. იმავდროულად, დიდგორი ქართული სამხედრო წარმატებების ნიშანსაცაა.

არ იქნებოდა დიდგორი, რომ არა დავით IV აღმაშენებლის 32 წლიანი მოღვაწეობა. არ ექნებოდა საქართველოს "ოქროს ხანა," დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვება რომ არ მოგვეპოვებინა.

მსოფლიოს ნებისმიერი ერი ამაცობს თავისი სამხედრო წარმატებებით. ხშირად დიდი პომპეზურობით აღნიშნავენ ამ დღეს. ბუნებრივია, ქართველებსაც გვმართებს მოვეფრთხილდეთ ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეებს და სათანადო პატივი მივავით სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე მდგარ ქართველ მეომრებს გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ ეს დღე მათი სამშობლოსათვის, მათი ოჯახებისათვის გადამწყვეტი შეიძლება გამხდარიყო. ერი და ბერი საგანგებოდ ემზადებოდა. სამეფო კარი ჯარს საბრძოლველად რაზმავდა. ეკლესიებში ქართველთა გამარჯვებისათვის ლოცვას აღავლენდნენ. სამწუხაროდ, წერილობით წყაროებს არ დაუცავს ზუსტი ცნობები თუ როგორ ემზადებოდა ქართველობა დიდგორის ბრძოლისათვის, ეს ამბები სამუდამოდ ჩაიკარგა ისტორიის ქარტეხილებში. რამდენ უძილო ღამეს გაატარებდა დავით აღმაშენებელი ბრძოლის საბოლოო გეგმის შემუშავებისას. მტერი საკმაოდ გამოცდილი იყო და ამიტომაც ყოველივე გათვლილი, დათვლილი უნდა ყოფილიყო.

მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი ნელ-ნელა მოიწვედა საქართველოს სიღრმისაკენ. მტერი

დიდ იმედს ამყარებდა ამ ლაშქრობაზე. ერთხელ და სამუდამოდ "ჭკუა უნდა ესწავლებინათ" ქართველთათვის, რომლებმაც არა მარტო შეაფინოვეს თურქ-სელჩუკები, არამედ ამიერკავკასიაში პირველობისათვის დაიწყეს ბრძოლა. 1120-1121 წლები ქართველთათვის იყო მეტად წარმატებული. დავით აღმაშენებელმა რამდენიმე დიდ გამარჯვებას მიაღწია თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში. 1120 წლის 14 თებერვალს ქართველებმა ბოტორასთან დაამარცხეს თურქები. მალე ქალაქი ყაბალაც აიღეს და შირვანიდან განდევნეს მტერი. იმავე წლის ნოემბერში დავითმა აშორნიასთან სასტიკად დაამარცხა სელჩუკები. ქართველთა ეს წარმატება 1121 წელსაც გაგრძელდა. ამიერკავკასიაში ქართველთა სამხედრო უპირატესობა ამკარა იყო. ამით შემოთებულმა განძელ-თბილელ-დმანელმა ვაჭრებმა და ადგილობრივმა მუსლიმმა მმართველებმა სპარსეთის სულთანს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვეს. სულთანმა მაჰმუდ მუჰამედის ძემ მთელ მუსულმანურ სამყაროს მიმართა თხოვნით დიდი კოალიციური ლაშქარი შეეკრიბათ ქართველთა წინააღმდეგ. სულთანის ამ თხოვნას ბევრი გამოეხმაურა. უმოკლეს ხანში შეიკრიბა 300-400 ათასიანი არმია. მას მაჰმუდ მუჰამედის ძემ სარდლად ნეჯმ ად-დინ ილლაზი უთავა. ამ დროისათვის ილლაზის სახელი დიდების შარავანდედით იყო მოსილი. იგი ფლობდა ბაღდადის, მარდინისა და ალექსანდრიის ციხე-ქალაქებს. ილლაზმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ევროპელ რაინდებთან ბრძოლაში. 1119

წელს მან მდ. ორონტის ნაპირებთან ე.წ. "სისხლიან ველზე" სასტიკი დამარცხება აგემა ჯვაროსნებს. ამ გამარჯვების გამო ილლაზს "ნეჯმ ად-დინი" - "სარწმუნოების ვარსკვლავი" უწოდეს.

ნეჯმ ად-დინ ილლაზთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ემირი დუბაის იბნ-სადაყა, თორღულ მოჰამედის ძე, თულან არსლან კუზიანი, განძის ათაბაგი და სხვა მუსლიმი მმართველები.

აგვისტოს დასაწყისში მუსულმანური კოალიცია საქართველოსაკენ დაიძრა. ილლაზი ჯერ არზრუმში მოვიდა. სწორედ აქ უნდა მოეყარათ თავი სხვადასხვა მხრიდან წამოსულ ილლაზის მოლაშქრეებს. თორღულ მოჰამედის ძე განძის მხრიდან, ხოლო თულან არსლან კუზიანი დვინის მხრიდან მოემართებოდა. პაემანი თრიალეთში იყო დათქმული. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მტერი "მოვი-

დეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორს, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამით ადგილთა." დავით აღმაშენებელი დიდგორის ვინრობებში ელოდებოდა მტერს, რომელიც იყო "სიმრაველითა ვითარცა ქვიშა ზღვისა." აკად. რ. მეტრეველის მითითებით, დიდგორის მდებარეობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მიერ მისი ბრძოლის ადგილად შერჩევა. დიდგორის ვინრობები მტერს საშუალებას არ მისცემდა გაშლილიყო და თავისი რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინა.

1121 წლის 12 აგვისტო, გარიჟრაჟი. დიდგორის ველზე ჯერ კი-


დეგ სინყნარეა, მხოლოდ აბჯრის ფლარუნი და ცხენების ფრუტუნი ისმის. აქა იქ მეომრები გადაუძახებენ ერთ-ერთს. დავითმა ჯარის საბრძოლო მზადყოფნა ბრძანა. ხუცესები მეომრებს ლოცავენ. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის გოტიეს ცნობით ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელს მგზნებარე მოწოდებით მიუმართავს თავის მეომრებისთვის: "მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავაპარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს ალექსანდრე, რომ მისი სიყვარული-სათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტოთ."

ბრძოლის წინ დავითმა საგანგებოდ შეაჩრია 200 მეომარი. მათ უდიდესი მისია დაეკისრათ, მოტყუებით მტრის ბანაკში უნდა შეეღწიათ და არეუ-დარევა გამოეწვიათ. ბრძოლის ბედი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეასრულებდნენ ისინი მეფის დაავლებას. მათ თავიდანვე იცოდნენ რომ სამშობლოს, რწმენისა და მეფის ერთგულებისათვის სიკვდილზე მიდიოდნენ. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ამ 200 გმირი ქართველის არც სახელი და არც ოჯახური წარმომავლობა არ ვიცით.

გათენდა. უეცრად ქართველთა ლაშქარს 200 მეომარი გამოეყო და ილლაზის ბანაკისაკენ დაიძრა. მო-

რჩილების ნიშნად ხმლები მალლა ჰქონდათ ანული. მტერმა იფიქრა დანებებას აპირებენო და კარგად ღრმად შეუშვეს ბანაკში. უეცრად ქართველებმა იარაღი იშოშველეს და მონინააღმდეგეს დაერივნენ. ილლაზის მეომრები დაიბნენ. სანამ გონს მოვიდოდნენ დავით აღმაშენებელმა შეტევა წამოიწყო და მტერს რამდენიმე მხრიდან შეუტია. ლაშქრის ცენტრს დავითი ედგა სათავეში. ფლანგებზე ყიფჩაყა და დემეტრე უფლისწულის ჯარები იყო განლაგებული. ბრძოლის დაწყებისთანავე დემეტრე უფლისწული დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დაეშვა და ილლაზის არმიას გვერდიდან შეუტია. პირველივე შებრძოლებისას მტრის ბანაკი შეირყა. სარკინოზები არ ელოდნენ ქართველთა ასეთ სწრაფ და ფართომასშტაბიან იერიშს. დავითმა მართლაც გენიალური სამხედრო გეგმა დაუპირისპირა ილლაზს. მტერი 300-400 ათასამდე იყო, ხოლო ქართველთა ლაშქარი 55 600 მოლაშქრისაგან შედგებოდა. სარკინოზთა რიცხობრივი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ხანგრძლივ ომს ქართველთა ლაშქარი ვერ გაუძლებდა. ამიტომაც, პირველ მასიურ შეტევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ბრძოლა სამ საათამდე გაგრძელდა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა ასეთ იერიშს და უკუიქცა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. ილლაზის არმიას ქართველებმა დიდგორიდან 70 კმ მანძილზე ზდიეს. ტყვე და ალფაი აუარებელი იყო. მართლაც, დიდგორზე ქართველობამ შეუძლებელი შესძლო. შემთხვევით არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვებას "ძლევანი საკვირველს" უწოდებს.

ქართველი ერი ყოველთვის დიდი მონივნებით იხსენიებდა დიდგორის გმირებს. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კი ხალხმა ეროვნული დღესასწაული "დიდგორობა" დაანსა.





დიდგორზე ქართველთა 56 ათასიანმა ლაშქარმა მტრის 400 ათასიანი ლაშქარი დაამარცხა. ასეთი დიდი გამარჯვება საქართველოს ისტორიაში ერთია და ვინ იცის, იქნებოდა თუ არა დიდგორი, დავით აღმაშენებელს საკუთარი ლაშქრისათვის უკან დასახვეი გზა რომ არ ამოეხერგა.

- დიდგორი იყო პროლოგი თბილისის დახსნისა და საქართველოს გაერთიანებისა, - წერენ ქართველი ისტორიკოსები. დიდგორობას ხალხი საუკუნეების მანძილზე აღნიშნავდა. ბოლო დროს ის ადგილობრივი მოსახლეობის "დელოზა" იქცა.

"ასეთი დიდგორობა ჯერ არ ყოფილა. ადრე უფრო ვინრო წრეში ვატარებდით, წელს კი დიდგორობა საერთო სახალხო დღესასწაული გახდა," - განუცხადა ნ სექტემბერს დიდგორის ველზე შეკრებილ უამრავ ადამიანს ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ, რომელიც "დიდგორობის" აღორძინების ინიციატორია.

წლევეანდელი დიდგორობა შარშანდელისაგან ძალიან განსხვავდებოდა. წელს დიდგორში პრეზიდენტი და პატრიარქი ავიდნენ; წელს დიდგორში მხოლოდ პრეზიდენტის ელიტარული გარემოცვა ზეიმობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან სპეციალურად ჩამოყვანილ ხალხთან ერთად; წელს დიდგორში თეთრ-წითელი ხუთჯვრიანი

ნი დროშა აღარ გააჭაჭანეს, მხოლოდ ერთი ასეთი დროშა ფრიალებდა ამფითეატრს შემოჯარულ უამრავ ჩვეულებრივ მოკვდავს შორის.

ულამაზესი იყო გოგი ქავთარაძის რეჟისურით დადგმული სპექტაკლი, თუმცა მუხანათმა ამინდმა მაყურებელს მისით ტკობობის საშუალება არ მისცა. სპექტაკლი დაიწყო თუ არა, მონმენდილ შაერში ნისლის სქელი ღრუბლები წამოვიდა და სცენაზე გაცოცხლებული ჩვენი წინაპრები, მართლაც, წარსულის ლანდებს დაამსგავსა.

დასაწყისში ეს ძალიან რომანტიკული იყო, მუსიკა და პათეტიკა ფრუანტელად უვლიდა ხალხს. ილია მეორე ცრემლს ჩუმად იწმენდა, პრეზიდენტი შუბლშეკრული იჯდა, ხალხი ჩუმი განცდით უსმენდა.

თუმცა, მალე წვიმა და სექტემბრისათვის უჩვეულო სიცივე აუტანელი გახდა და მაყურებელმაც მოურიდებლად მიფანტ-მოფანტვა იწყო. სპექტაკლი შეწყდა და ღონისძიების ოფიციალური ნაწილის ჩქარი კადრებიც დაიწყო.

"დიდგორის განცდა თითოეულ ქართველში სიამაყეს ბადებს. ჩვენ ვართ ის ერი, რომელმაც თავჩაქინდრულმა არ უნდა იაროს. ჩვენ ვართ დიდი ერი, დიდი სახელმწიფო. დამოუკიდებლობის აღდგენა - აი, ეს არის ჩვენი უდიდესი გამარჯვება. ეს არის გამარჯვება იმ

ადამიანებისა, რომელთაც თავი დადეს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

მოგესალმებით ყველას სისხლით მორწყულ დიდგორის მიწაზე, რომლითაც გადარჩა ჩვენი სახელმწიფო. მე მჯერა, რომ დავძლევთ ნიპილიზმს, დავძლევთ უიმედობას, წინ აღვუდგებით უმსგავსობას და შევძლებთ იმას, რომ გამარჯვების განცდა დავიბრუნოთ, რადგან თუ ერს გამარჯვების სურვილი არ აქვს, დიდი მთავარსარდალიც ვერ გამარჯვებინებს. დაე, ჩვენ გვექონდეს გამარჯვების განცდა, რათა შევძლოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

შარშან ჩამოყალიბდა "დიდგორის ორდენი", რომლის სათავეში გამორჩეული და ღვანლმოსილი ადამიანები არიან - ბატონი როინ მეტრეველი, ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე, მეუფე ანანია და სხვები, რომელთაც გადაწყვიტეს, დაანესონ საზოგადოებრივი ჯილდო და გადასცენ მათ, ვინც თავისი შრომით, წარმატებით სახელს გაუთქვამენ საქართველოს. ასეთი ჯილდო წელს პირველად გადაეცემა და ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს ადამიანები," - ლევან მამალაძემ გამოსვლა დაჯილდოებულთა დასახელებით დაასრულა.

"დიდგორის ორდენის" კავალრების პირველი შვიდეული ასეთია:

"ყველა დიდგორი"



ჟიული შარტავა (სიკვდილის შემდეგ) - საქართველოს მთლიანობის დაცვის საქმეში გამოჩენილი თავგანწირვისათვის.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე - საქართვე-

ლოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მერაბ ბერძენიშვილი - დიდგორის მონუმენტის ავტორი.

ჭაბუა ამირეჯიბი - ღვანლმოსილი მწერალი.



რვენი

ბჭირდება



“ძვირფასო მეგობრებო, ბატონო ელჩებო, ბატონო მაილს, ქალბატონო მაილს!

მე, ალბათ, უფრო გვიან უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ წვიმა მატულობს, ხალხი აღარ დარჩებოდა და ცარიელი აუდიტორიის წინაშე მომიწევდა ლაპარაკი.

მინდა გითხრათ, რომ მე გუშინ მოვანერე ხელი ბრძანებულებას იმის შესახებ, რომ დიდგორობა აღინიშნოს ყოველწლიურად სექტემბრის პირველ შაბათს, როგორც საერთო ეროვნული დღესასწაული. ეს სჭირდება დღევანდელ თაობებს, ეს სჭირდება მომავალ თაობებს.

დღეს შესანიშნავი გამოსვლები იყო, შესანიშნავი სპექტაკლი. ყველაფერი გულით იყო ნათქვამი დავით აღმაშენებლის მიმართ, ჩვენი დიდი წინაპრების მიმართ.

ჩვენ, ქართველებს, საქართველოს მოქალაქეების ყველა თაობას ჩვენი დიდგორი გვჭირდება. აქ უკვე ითქვა, ლევან მამალაძემ თქვა, დღეს საქართველო დამოუკიდებელია. მრავალი საუკუნის შემდეგ საქართველო აშენებს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. თუ გვინდა, რომ ერთგულები ვიყოთ დავით აღმაშენებლის ანდერძისა და მისი უკვდავი საქმეებისა, ჩვენ უნდა ვეთავყვანებოდეთ ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მისი გაძლიერებისათვის, ჩვენი ქვეყნის თავდაც-

ვისუნარიანობის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ შეიარაღებულ ძალებს მივხედოთ. არის ასეთი ქვეყნები, რომლებიც შეუძლებელს აკეთებენ იმისათვის, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ. ჩვენ ამას ნამდვილად მივალწევთ. ჩვენი დიდგორი დღეს ის არის, რომ წარმატებები გვქონდეს მეცნიერებაში, წარმატებები გვქონდეს განათლებაში, რომ საქართველომ შეინარჩუნოს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული დიდი ტრადიციები, ეროვნული ტრადიციები, თავისი ეროვნულობა და თავისი ენა.

მინდა მივმართო ჩვენს მეგობრებს, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს:

გიყვარდეთ საქართველო ისე, როგორც ყველა ქართველს უყვარს იმიტომ, რომ ეს თქვენი სამშობლოც არის. დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის, ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენი დიდგორი არის წარმატებები სპორტში, განათლებაში, ხელოვნებაში, ყველა სფეროში და, რა თქმა უნდა, ჩვენი დიდგორი ის არის, რომ აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა ჩვენი სამშობლოსი.

აქ უკვე ითქვა, როგორც არ უნდა გვიჭირდეს, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში, აფხაზეთი დაბრუნდება საქართველოში. რაც არ უნ-

და მოხდეს, ჩვენ დავბრუნდებით სამაჩაბლოში, ჩვენს გარეშე ოსები ვერ იცხოვრებენ. ადრე თუ გვიან, ერთ წელიწადში თუ ორ წელიწადში, ამას ყველა მათგანი მიხვდება.

მინდა ვთქვა, რომ ვინც ერთგულნი ვართ დავით აღმაშენებლის ანდერძისა, უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ქვეყნის მთლიანობა აღდგეს და მჯერა, რომ აღდგება ქვეყნის მთლიანობა.

დაბოლოს, ეს საკმარის ცნობილი ფრაზაა, როცა დიდ ადამიანებზე ლაპარაკობენ, მსოფლიოში ცნობილ ადამიანებზე, მე დავით აღმაშენებელი ასეთ პიროვნებად მიმაჩნია – წინ, მეგობრებო, წინ, დავით აღმაშენებლისაკენ!”

ხალხი, მართლაც, წინ მიიწევდა, თანაც ისე, რომ უკან მოხედვაც არ უნდოდათ. “წინ, მანქანებისაკენ”, - ხუმრობდნენ პატარა გოგობიჭები.

- აბა, ესე შეიძლება? პატარა სიცივის გამო კონცერტის ჩაშლა იქნებოდა? ეს ხომ ჩვენივე სვანეთში არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა, - ხმამაღლა ჯავრობდა გატყეულ ხალხში დინჯად მიმავალი წითელწიხიანი მამაკაცი.

საიდან ხართ, ბიძა, სცენაზე გამოსვლა ვერ მოასწარი? - ვეკითხები ღიმილით.

ლენტეხიდან. ნისლმა და წვიმამ როგორ გაგვაქცია, კაცო, და ომში რაღას ვიზამთ, - ამოიხარა და თავის “მარშრუტკაში” ავიდა.

დავით ლორთქიფანიძე – დმანისის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენისათვის.

ჯუმბერ კოპალიანი – დმანისის ექსპედიციის ხელმძღვანელი. გიორგი ასანიძე – ქართველი

მძლეოსანი.

სცენაზე ქოლგის თანხლებით ავიდა პრეზიდენტი შევარდნაძე, გაიხედა ნახევრად დაცარიელებული სკამებისაკენ და სიტყვაც შეძლებილდაგვარად მოკლე წარმოთქვა:



ანა კორძია-სამადაგვილი

მეფე დავითი ყველაზე კარგი მეფეა – მარტო რუის-ურბნისის კრება რად ღირს, ან ანის ალბის შემდეგ სომხეთის დედოფალს, კატონიტეს რომ საფლავში სამგზის ჩასაძახა: “გიხაროდეს, დედოფალო, რადგანაც იხსნა უფალმა ტაძარი შენი ურწმუნოთაგანი!” დიდებული კაცი იყო მეფე დავითი, და დიდებული გამარჯვებაც სწორედ მისი, დავით აღმაშენებლის დროს გველირსა.

ეს ამბავი ყველა ქართველმა იცის: დავით აღმაშენებლის მიერ ძალიან შეწუხებულ თურქებს სულთნისთვის მიუმართავთ, დაგვეხმარეო. ერაყის სელჩუკთა გამგებელმა, სულთანმა მაჰმუდ მუჰამედის ძემ, “სადღაცა ვინ იყო, დამასკო და ჰალაბიდან ამოღმართ, ყოველთა მხედრობად შემძლებელსა” მოუწოდა. ამ ლაშქარს ანტიჯვაროსნული ომის მთავარსარდალი, იღლაზი ჩაუდგა სათავეში, “კაცი დაჰამანი და მრავალღონე”. ივანე ჯავახიშვილს თუ დავუჯერებთ, ბრძოლის დროს დიდგორის ველზე მუსულმანები 300 ათასი იყვნენ, გოტიე კი ამტკიცებს, 600 ათასი კაცი იყო. ალბათ ჯობს, რომ მარტივად შევთანხმდეთ: იმდენი იყვნენ, რამდენიც “ქვიშა ზღვისა”.



დვილად დღესასწაულია, რომ ამ დღეს ვილაც ვიგინდარა კი არა, თავად წმინდა გიორგი იბრძოდა ქართველ მეომართა რიგებში, თეთრ ცხენზე შემჯდარი, მახვილით ხელში. “ხორციელად იბრძოდა, ყველამ ნახა,” ჰყვებოდა გია, და თვითონაც ამ სასწაულის თვითმხილველივით იყო აღტაცებული.

იმ მანქანების შესახებ, რომლებითაც დიდგორის ველზე გავემგზავრეთ, ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე ბევრი რამ იციან – გასულ წელს, ზაფხულში, “ჯიპების არმიის გენერლის”, მერაბ გუჯაბიძისა და მისი 1942 წლის 11 დეკემბერს “დაბადებული” მანქანის შესახებ გიამბოთ, და ავტოგარბენის – თბილისი-ბა-

ში მოხვედრილი “ნამდვილი ვილისების” ბადრაგი დაიდრა შაბათს დიდგორის ველისკენ – საგანგებოდ გარეცხილ-გასუფთავებული ექვსი ჯიპი, რომელთაც ამჟამად მართავდნენ მათი მფლობელები, “ვილის ოვერლენდის რაინდთა კლუბის” წევრები. ამბობენ, დიდგორის ომში ჯვაროსნებიც მონაწილეობდნენ-

მანქანით დიდგორის მემორიალის კიბეზე დავეშვეთ. ასე გავიზრანჭეთ და კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ჯიპი არ მოხუცებულია – სამოცი წლისაც ისევე მარდად დარბის კიბეზე, როგორც ის, პირველი ჯიპი, რომელიც კოლიზეუმის კიბეზე მთელი მსოფლიოს დასანახად ავიდა. რამდენადაც ვხვდები, ეს კიბე “მოვიდა გორაზეა” აღმართული, რომელზეც თურმე უწინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხალხი დიდგორობას 20 მაისს ზეიმობდა, ცხენოსნები თავიანთ რაშებს ააჯირითებდნენ ხოლმე. ისე, ჯიპიც ხომ ცოტათი ცხენია, ოღონდ რკინისა.

წელს ნაკლებად გავგიმართლა – მოგესხენებათ, საძაგელი ამინდი იყო. ვერც მარულა ვნახეთ და ვერც დღესასწაულის ოფიციალური ნაწილი. ისეთი ნისლი ჩამოწვა, რომ მთა, რომელზეც თურმე ჯერ ფალოსი იყო აღმართული (ახლა ის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება), მერე საკურთხეველი იდგა და ახლა ეკლესია აუშენებიათ, მანამ არ გამოჩნდა, სანამ ზედ არ მივაღექით. ამ ნისლს ბოლიც ემატებოდა – ქართველ კაცს ხომ ოდითგანვე უყვარდა ჭამა-სმა, თან უამრავი მანქანა ირეოდა და საცობში მოვეყვით, თან ქარმა დაუბერა და საკმაოდ აცივდა, და კი ბევრი იძახეს, ნისლს გაფანტ-

ვილის ოვერლენდის რაინდები დიდგორის ველზე

ჩვენების რაოდენობასთან დაკავშირებით ისტორიკოსები მეტ-ნაკლებად ერთსულოვანი არიან: მათეოს ურჰაეცი ამბობს, ქართველი მეომარი 40 ათასი კაცი იყო, ყიფჩაი – 15 ათასი, და მათთან ერთად 500 ალანი და 100 ფრანგი იბრძოდაო. ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილიც 60 ათასიან ლაშქარს ახსენებენ, და ამის ფონზე ცოტა უცნაურად ჟღერდა წელს, დიდგორობის დღეს, მასობრივი ინფორმაციის წყაროებში მოხსენებული ხან ოცდაათი და ხან ორმოცი ათასი – რა იყო, ერთი კაცი თუ ათს ერევა, ცოტა საქმეა? თან ისიც ხომ ცნობილია, რომ “ახალმა ალექსანდრემ”, დავითმა, “თავისი სპანნი დაიცვა უვნებლად” და ბრწყინვალე, არნახულ გამარჯვებასთან ერთად ათასგვარი სიმდიდრეც მოიპოვა – ამ უკანასკნელთა ჩამონათვალში განსაკუთრებით არაბულმა ცხენებმა და ასურულმა ჯორებმა მომხიბლეს...

მერე, სამარშრუტო ტაქსის მოლოდინში, კვლავ ნაღვლიანად გახედა გზას. “თუ გინდა, წყნეთამდე ჯიპით ავიყვანო,” შევთავაზე მე. იმ წამს გიას თვალში ალბათ მაძლარი ბურჟუა ვიყავი, მაგრამ როცა ვუთხარი, რაზე იყო ლაპარაკი, გახალისდა. მართალია, სამარშრუტო ტაქსს მაინც დაედევნა – ჩანს, მაინც არ ჰქონდა ჩვენი და 60 წლის ჯიპების იმედი. მართლაც, ჯიპიცაა და ჯიპიც.

თუმი-თბილისის ამბებსაც ყოველდღიურად ვაქვეყნებდით. ჯიპი მხოლოე საუკუნის განუყოფელი ნაწილია, მისი ნახვა ყველა ფილმში შეიძლება, რომელშიც კი მეორე მსოფლიო ომის ამბებია მოთხრობილი, და თუ ყურადღებით იქნებით, ამ პატარა, მკვირცხლ და სრულიად არააგრესიული იერის მქონე საბრძოლო მანქანებს თბილისის ქუჩებშიც ხშირად მოჰკრავთ თვალს. სწორედ ამ ჯიპების, ლენლიზის ხელშეკრულების წყალობით საქართველო-

ნო – ალბათ სწორედ ისინი იყვნენ ის 100 “ფრანგი”, ჩვენ ხომ ყველა არამართლმადიდებელ ქრისტიანს ფრანგად ვნათლავდით. ამბობენ, ისინი ძალიან მაგრად იბრძოდნენო. და თუ ოდესღაც ჩვენს დიდ მეფეს ჯვაროსანი რაინდები ედგნენ მხარში, დღეს მის გამარჯვებას “ვილის ოვერლენდის რაინდებიც” ზეიმობენ. “რაინდებმა” დიდგორზე შარშანაც გამიყოლეს და მაშინ გმირული აქციის მონაწილეც გახლდით: ნიკოლოზ ჩიგოგაძის

ავს და ღრუბლებს გადაყრისო, სულ პირიქით მოხდა. “ფორდის მიკროავტობუსი ჩემს გვერდით რომ ჩამოდგა, აღარ უბერავდა და ვიფიქრე, ჰენრი ფორდის სურათს გავადიდებ და სანოლის თავზე გამოვიკრავე-მეთქი, მაგრამ წავიდა, ის დამპალი,” ჩიოდა ერთი განსაკუთრებით გაყინული ჯიპმენი. ყველა სიკეთესთან ერთად, ამ ქარსა და ორომტრიალში რატომღაც კრაზანები გააქტიურდნენ, და ვის ყურზე უკბინეს და ვის – თავზე, და მედგარი მამაკაცებიც კი გამწარდნენ. მერე წვიმამ დასცხო და აღარ მორჩა, და წამოვედით. უფრო სწორედ, წამოსვლას ვეცადეთ, რადგან კიდევ კარგა ხანს მოგვინია საცობში დგომა, რაც ქარსა და წვიმაში ღია მანქანაში მსხლომთათვის, დამეთანხმებით, ბევრი ვერაფერი სიამოვნებაა.



ბაგებში, ბენზინგასამართ სადგურზე მხატვარი გია გუგუშვილი შეგვხვდა, სევდიანი სახით და უზარმაზარი პარკით ხელში. პარკში ლურჯი გაზის ბალონი იყო გახვეული. “წყნეთში მიმაქვს დასატენად,” მოგვახსენა გიამ. როცა შეიტყუო, რომ ჩვენ დიდგორობაზე მივემგზავრებოდით, ცარიელი გაზის ბალონის მფლობელის კვალობაზე მოულოდნელი აღტყინებით ალაპარაკდა, და გავგიზიარა, რომ დიდგორობა ნამ-

მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, რომ დიდგორობა მაინც ვიზეიმეთ. ვილის ოვერლენდის რაინდებს ავდარი და მსგავსი წვრილმანები ვერაფერს დააკლებს, რადგან ყველაზე გამძლე, ყველაზე ერთგული და ყველაზე ყოჩაღი მანქანის საჭეს უსხედან. იცით, ოდესღაც პატარა ჯიპებმა თვით რომელის უძლეველი არმიის დამარცხება შეძლეს; ისინი თვრამეტნი იყვნენ, მტრები კი იმდენნი, რამდენიც “ქვიშა ზღვისა”. დაახლოებით ისეთივე ძალთა თანაფარდობა იყო, როგორც დიდგორის ბრძოლის დროს.

მარნეულის რაიონს 1947 წლამდე ბორჩალოს რაიონი ერქვა. მე-17 საუკუნეში ირანის შაჰმა აბას პირველმა აყრილი მკვიდრი ქართული მოსახლეობის ნაცვლად ამ ადგილას ბორჩალოს თურქმენული ტომი დაასახლა. მხოლოდ გასული საუკუნის შუა წლებში მოხერხდა აქაურობისათვის ძველი ქართული სახელწოდების, მარნეულის დაბრუნება.

მარნეულის რაიონში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. აქ მცხოვრებთა 80 პროცენტზე მეტი აზერბაიჯანელია, ქართველები 12 პროცენტამდე არიან, დანარჩენები კი - ბერძენები და სომხები.

ქალაქ მარნეულში შემსვლელები აუცილებლად დინახავენ გზაზე გადაჭიმულ ლოზუნგს: "საქართველო უპირველეს ყოვლისა". ის, ალბათ, ქართველების გულის დასამშვიდებლად უფროა გამიზნული, რადგან აზერბაიჯანელები ქართულ წარწერას, ჯერჯერობით, ვერ კითხულობენ.


დღევანდელი მარნეული არაფრით განსხვავდება თუნდაც 10 წლის წინანდელისაგან. ერთი თვალის გადავლევით, აქ კარგა ხანია არაფერი შეცვლილა, აქა-იქ გაკე-

ნიკური თანამშრომლობის საზოგადოება. ისინი ჩვენთან საზღვრისპირა პროგრამას ახორციელებენ. პროგრამა მუშაობს ასევე გარდაბანში, აზერბაიჯანისა და სომხეთის მხარეს. 5-დან 15 ათას ლარამდე ღირებულების პროექტებია.

უკვე მეორე წელია იგება გზა სადახლოს მიმართულებით და ბოლომდე ასფალტის პირველი ფენა მაინც მივა. გზაზე ვერ გაივლიდი, ისეთი საშიშროება იყო. 32 კილომეტრიანი მონაკვეთი კაპიტალურად კეთდება. სამუშაოებს მსოფლიო ბანკის ეგიდით კუვეიტის ფონდი აფინანსებს. რაიონის ბიუჯეტიდან არაფერი იხარჯება.

- რამდენი აზერბაიჯანული და ქართული სოფელია რაიონში?

- გვაქვს სამი ქართული საკრებულო და მასში შემავალი 5 ქართული სოფელი: წერეთელი, ორჯონიკიძე, თამარისი, წერაქვი და სიონი. გარდა ამისა, უკვე მიიღო სოფლის სტატუსი ეკოლოგიური მიგრანტებით, აჭარლებით დასახლებულმა ხიხანმა და დიოკისემ. ეს პროგრამა 1987 წელს დაიწყო. მაგათ სახლები ადრევე აუშენეს, მაგრამ ყველაფერი შეჭმულია, სოფლის გენგემაც კი არ არსებ-



ქვემო ქართლი მუშტარს ელოდება

"ვინც მოგვხედავს, ხმასაც იმას მივცემთ." ამბობს ხალხი

თებულები "მარკეტების" გარდა.

ის რაც პირველადვე თვალში მოგვხედებათ, ჩაიხანებია - აღმოსავლური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. მართალია, აქაური ჩაიხანები ნაკლებად კომფორტული და მოუწყობელია, მაგრამ მოცლილი და უსაქმოდ დარჩენილი აზერბაიჯანელებისათვის ყველაზე საყვარელ ადგილად მიიჩნევა.

როგორია გამგებლისა და ხალხის მიერ აღწერილი აქაური ცხოვრება?

"ხალხს კბილებით ვიჭერთ"...

მარნეულის რაიონის გამგებლის გოჩა ლორიას თქმით, აქაურებისათვის ყველაზე დიდი პრობლემა ენერგომომარაგებაა.

"ვიჭერთ კბილებით ამ ხალხს. ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს ხალხი დაიძვას, გზა გადაკეტოს და მერე თბილისში ჩავიდეს. ის უნდა, რომ მერე დაიწყოს, აი, თათრები ჩამოვიდნენო. იმაზეა ყველაფერი აგებული, რომ ნაციონალური შუღლი გააღვივონ. დღეს უშიშროების მინისტრის სახელზე წერილს ვამზადებ, რომ პრობლემა როგორმე მოგვარდეს," - ამბობს ლორია. მისი თქმით, ელექტროენერჯისაგან განსხვავებით, რაიონში არ არსებობს ბუნებრივი აირით მომარაგების პრობლემა. მეტიც, წელს გაზი ორ აზერბაიჯანულ სოფელში, ყიზილაჯლოში და შაუმთანშიც გაუყვანიათ, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ცენტრალურ მაგისტრალზეც.

- ვინ აფინანსებს ამ სამუშაოს?

- გვეხმარება უცხოური კომპანია "გტზ". ეს არის გერმანიის მთავრობასთან არსებული ტექ-

ობს. ხალხმა თავად დაამთავრა ეს სახლები. ხიხანში ახლა 130 ოჯახია. დიოკისე შედარებით პატარაა. რაც შეეხება აზერბაიჯანულ სოფლებს, ისინი რაიონში 70-მდეა.

- აქ, მარნეულში რამდენი ქართული სკოლაა?

- ერთი ქართული სკოლაა, ერთი რუსული, სადაც ძლიერი ქართული სექტორია. ბოლო ორი წელიწადია ერთი ტენდენციაა - აზერბაიჯანელებს ბავშვები ქართულ სკოლებში მიჰყავთ.

- ქართული ენის სწავლება ნაციონალურ სკოლებში ნორმალურად მიმდინარეობს?

- ნორმალურს ვერ დავარქმევთ. სურვილი არის, რაც მთავარია. სახელმწიფო ენის პროგრამა 1997 წლიდან დაიწყო. თავიდან იყო ასლარიანი დანამატი ქართულის პედაგოგთა ხელფასებზე, მიწები მივეცი, ხელს ვუწყობდი. შემდეგ ის 100 ლარი გაგვიანხვერეს და გაიქცნენ პედაგოგები აქედან. ზოგ სოფელში ისეთები ასწავლიან ქართულს, თვითონ რომ ძლივს ლაპარაკობენ.

- ქვემო ქართლის რაიონებში არაქართული მოსახლეობის პოლიტიკურ აქტიურობაზე, არჩევნებზე მისვლას ვვლისხმობ, ლეგენდებს ჰყვებიან. ნოემბრის არჩევნებზეც იგივეა მოსალოდნელი თუ არა?

- აქტიურობა ძალიან მაღალია. ცოტა ქართულ სოფლებში ჭირს, ნახევარი გამოდის მარტო, მაგრამ აზერბაიჯანულ და სომხურ სოფლებში თითქმის ასი პროცენტი იღებს არჩევნებში მონაწილეობას.

- თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

- ერთი ის არის, რომ ნაციონალური უმცირესობა მარტო ჩვენთან კი არა, ნებისმიერ ქვეყანაში უფიქსირებს თავის კეთილგანწყობას და პოზიციას ქვეყნის მთავ-

რობას. ისინი უფრო კანონმორჩილები არიან. მეორეც, ძველი ტრადიციებით თუ ვიმსჯელებთ, ალსაკალები რომ არიან, ვისაც ესენი ჭკუას ეკითხებიან, ის თუ უჭერს მთავრობის კურსს მხარს, ხელისუფლებას, ჩათვალე, რომ მთელი სოფელი ასევე მოიქცევა.

- ძირითადად რა პრობლემების მოგვარებას ითხოვს ხალხი თქვენგან?

- აზერბაიჯანულ სოფლებში ხალხი სოფლის მეურნეობითაა დაკავებული.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ძირითადი პრობლემაა სარწყავი წყალი. ადრე ყველაფერი რაღაც სისტემური და მონესრიგებული იყო. ახლა, ყველაფერი კერძოა და ჭირს დარეგულირება. აი, ეს არის ჩვენი ძირითადი პრობლემა.

- ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. ჩვენი ინფორმაციით, თქვენ ხართ გუბერნატორობის ყველაზე რეალური კანდიდატი. თქვენი პოზიცია მაინტერესებს.

- ლევანის შეცვლა ძალიან რთულია. ჩემს თვალწინ ხდებოდა ამ პიროვნებისა და თავად მხარის ჩამოყალიბება და მართლაც ტიტანური შრომაა ჩადებული მხარეში.

აქ ლევანს ყველა ოჯახი იცნობს და ყველა სოფელში რამდენჯერმეა ნამყოფი. მას აქვს სერიოზული გამოცდილება სახარმოებთან მუშაობის, საკითხების დაყენებისა და მათი გატანის. რომ გითხრა, რომ არ ვიცი გუბერნატორობის შესაძლო კანდიდატი ვარ-მეთქი, სისულელე იქნება. ყოველთვის არჩევნები რომ მოახლოვდებოდა, ინყებოდა ლაპარაკი, აი, გოჩა გადადინარ და ასე შემდეგ. სიმართლე გითხრა, ბევრჯერ მაქვს ამაზე ნაფიქრი და როგორც გადაწყვეტენ, გადაწყვეტენ. კიდევ ერთხელ გეუბნებით, სულელი უნდა იყოს კაცი,

რომ უხაროდეს ლევანის შეცვლა, იმდენად ძნელია ეს საქმე.

"არჩევნების მერე კარგი იქნება?.."

ქართული სოფელი წერეთელი მარნეულიდან ერთ კილომეტრშია, თუმცა აქაურების თქმით, მათი ცხოვრება რადიკალურად განსხვავდება რაიონულ ცენტრში მცხოვრებთაგან.

ზაფხულის ზეატმი სოფლის ცენტრალურ გზაზე ორი ქალი მიაბიჯებს.

- გამარჯობა, ჩვენ ურნალი-სტები ვართ. იმის გასაგებად ჩამოვდით, როგორ ცხოვრობთ, რა პრობლემები გაქვთ.

- რა ვიცი, - იბნევიან ქალები და გაქცევას ცდილობენ, - ამას ცხოვრება ჰქვია? მარნეულში ვულკანიზაციებიც კი გაჩახჩახებულა და ჩვენ შუქი არ გვინახავს კარგა ხანია.

ასლომასლო ეზოს ჭიშკრები იღება და ყურადღებით იყურებიან ჩვენსკენ, მერე თანდათან ახლოსაც მოდიან და კითხვებზე გაუბედავად პასუხობენ.

- შეიძლება, რომ თბილისიდან 29 კილომეტრში ხალხი ქვის ხანაში ცხოვრობდეს? ჩვენ ხომ პატრონი არ გვაყავს. ტელევიზორსაც ვერ ვუყურებთ. ორი დღის წინ შუქი 15 წუთით მოვიდა, აი, მამალაძე რომ გამოდიოდა ტელევიზორში და მორჩა...

- პენსია 6 თვეა არ აგვიღია, ნყალი ჩვენ არა გვაქვს. საბავშვო ბაღში ვმუშაობ და 40 ლარი მაქვს ხელფასი, ქმარი ყოველდღე სადახლოზე დადის და თვეში 120 ლარს იღებს, აბა, მაგით ცხოვრება შეიძლება? აქ უმრავლესობას ძალიან უჭირს. სამოვრები გადამხმარია, საქონლის შენახვა ჭირს. მიწასლა ჩაყვრებით მარტო.

- მოდი აქ, მოდი, ვუთხრა

ჩვენი გასაჭირი, - ეძახიან თანასოფლელებს ქალები.

- ეხლა დაიწყეს სიარული პარტიებიდან, კითხვებს გვისვამენ მარტო.

- არჩევნებზე რას იტყვით, ნახვალთ?

- ნახვალთ, მაგრამ მაინც გააყალებენ.

- მაინც უნდა მივიდეთ, თორემ მთავრობა რასაც უნდა, იმას გაიტანს.

- რა იქნება არჩევნების მერე, კარგი იქნება? - კითხულობს ყუყუნა ბიცოლა და თან უხერხულად ილიმება.

- ვინც გინდა იყოს, ხმას მივცემთ, ოღონდ ჩვენი გაჭირვება იმისთვის სულ ერთი არ იყოს.

- აუცილებლად დანერე, ვინც შუქს, გაზს და წყალს მოგვცემს, იმას მივცემთ ხმას, სხვა არაფერი გვჭირდება, თავად გავანძრევთ ხელს.

- აზერბაიჯანულ სოფლებს უფრო არ უჭირთ, ზოგან გაზიც გაუყვანეს. ჩვენც ავკრიფეთ ფული მაგრამ, შეიჭამა.

- ცარიელი ტრუბა არ მოვიდა ჩემამდე, სად წავიდა, ჩემ ფულს ნომერი არ ჰქონდა? - ცხარობს ქართველ თანასოფლელებში გარეული აზერბაიჯანელი ქალი, - ცოტა სალიარკას ვყიდდი, მაგრამ მოვიდა, ლეგიონი ვარო, თბილისიდან და ათას ორასი ლარი დაცერა შტრაფი, იმას გადავიხდი მე? თითო კაპიკის მოგებას შევყურებ და იმით ვცხოვრობთ. აგე, სახლი კომუნისტების დროს ავაშენე, თორე ეხლა საქმლის ფული გვიჩირს, მამ, - საკმაოდ გამართული ქართული საუბრობს.

სოფლის შარავზაზე მამაკაცებიც გამოჩნდნენ და თავის ქნევით შემდეგი დასკვნა გააკეთეს: "არავისი დაიჯეროთ, სანამ მთავრობა არ შეიცვლება, პრობლემა პრობლემად დარჩება"...

ქვემო ქართლი მუხტარს ელოდება



მამუკა გვარდიანი

მი ოჩენ ხოროში ყვირით, უნას ვსიო იესტ...

სოფელ წერეთლიდან მარნეულში გავლა და ხალხთან გასაუბრება გადავწყვიტეთ. აზერბაიჯანული საშუალო სკოლა-ინტერნატის კარებთან სამი შუახნის აზერბაიჯანელი შემოგვხვდა. ქართული იცითო, ვკითხეთ და ცივი უარის მიღების შემდეგ რუსულად გავესაუბრეთ, როგორ ცხოვრობთ, რა გიჭირთ და რა გილხინთო.

მილით გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა, მამედ გასანოვმა. - ყველაფერი გაქვთ რაც გინდათ? - სლავა ბოგუ, ი ელექტროენერგია, ი ვადა, ი გაზ, ვსიო იესტ. პაკა ნიკაკის პრაბლემ. - არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ? - აბეზატენლი ი ზა საიუზ გრაფდან ბუქემ გალასავაც. - რატომ? - ფათამუ შო, დო სიხ ფორ ვსეგდა მი თოლკო ნა ნიხ ნადეელის ი ანი ოფრავდივალი ნას. ცენტრალურ გზაზე ქართული სკოლა ვერ ვიპოვეთ და აზერბაიჯანულში შევედით. ეზოში სხვადასხვა ასაკის ბევრი ბავშვია. ქარ-

თულად ვერცერთს ვერაფერი გავაგებინეთ და ისევე რუსული მოვიშველეთ. მეუბნებიან დამტკრებული რუსულით, ქართულს ვსწავლობთ, აბა, რაო. რატომ ვერ ლაპარაკობთ-მეთქი და მხრებს იჩეჩავენ. ყველა აზერბაიჯანელი ბავშვი თქვენაირად ფლობს ქართულს-მეთქი და თავს მიქნევენ. სკოლის მასწავლებელი აიდა ისმაილოვა გვიხსნის, რომ ქართულად მოსაუბრეების არ არსებობის გამო, აზერბაიჯანელები სახელმწიფო ენას ვერ სწავლობენ. - ქართულს პირველი კლასიდან სწავლობენ, მაგრამ არავინ იცის ის. რუსული იციან, - რუსულად გვიხსნის აიდა. - ნუთუ ყველგან ასეა. - კი, შეიძლება ასე ითქვას. - არჩევნებზე რას ფიქრობთ, ნახვალთ ხმის მისაცემად? - ახლახანს შეკრება გვექონდა, რა თქმა უნდა, აქტიურად მივიღებთ მონაწილეობას, რომ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. - ვის მისცემენ ხმას აზერბაიჯანელები, როგორ ფიქრობთ? - ნახევარი მოქალაქეთა კავშირს, ნახევარი კი ალორძინებას, სოციალისტებს და სხვა პარტიებზე გადაწინილდება. "პუსტ შევარდნადზე ფადუმეატ ო ნაროდე"... შუადღეზე მარნეულის ჩახიხნებში დიდი ხალხმრავლობაა. სხე-

დან აზერბაიჯანელები, წრუპავენ ჩაის და ამქვეყნიურ პრობლემებზე ლაპარაკობენ. დომინოს მოთამაშეებს მივუახლოვდით, ისევე რუსულად ვკითხეთ (მეტი რა გზა გვექონდა?!). - როგორ ცხოვრობთ, რა განუხებთო. - ფენსია ნეთუ, რაბოჩე მესთა ნეთუ, ა ნამ ბოლშე ნიჩეგო ნე ნადო... ფენსიონერამ კუშაც ნეთუ. 6 მესეცევე ფენსია ნეთუ, კამუ შალოვატსა, მი ნე ზნაემ. - არჩევნებისთვის ემზადებიან? - დაჟე ნე ხანიმ ნიჩეგო ზნაც. ზა ტრინადცათ ლარი ქაქ მი ბუქემ ჟიც. - არჩევნებზე ხომ ნახვალთ? - ქტო ნაჟრალ, ბუქეტ გალასავატ, ქტო გოლოდნი, ქამუ ბუქეტ გალასავატო? ჩახანამი მჯდომი ხალხი უცებ გამოცოცხლდა. ყველა ერთხმად ალაპარაკდა, ზოგი რუსულად, ზოგი აზერბაიჯანულად თავისი პრობლემების გამოთქმას ცდილობდა. - ზა შევარდნადზე ნე ბუქემ გალასოვათ, - აყვირდა რამდენიმე მათგანი. რატომო, გავვოცდით. - ფათამუ ჩო, ონ დლია ნას ნიჩეგო ნე სძელალ. დაროგა ნეთუ, სვეთა ნეთუ, ფამიდორ ვსიო ფორთითსა. თბილისი ზაბერიომ ი ჩო, ჩერეზ თრი მეთრა გაიჩნიკ სთათი. - კლანუს მათერი, ვჩერა ჟენა ბადრიჟანი ფრინოს 10 იამიკ, ნი კაკიკ დამოი ნე ზაბრალ. ვ ზაზარი სთათი ჩელოვეკ აძინ 5 ლარი ემუ

ნადა, ლაბარატარია ლარი, ახრანა ლარი, ნიქთო ა ნას ნე დუმეატ... - ეთოთ ნამ გამგებელი, ქაქ პრეხალ, თოლქო თრუბი ფაქრასილი ი ქრასქა უჟე ნეთუ. ბოლშე ნიჩეგო ონ ნე სძელალ. ვოთ ბოლნისი, ტამ კუვეით, თამ ჩისთათა, პორიადოქ. ზდეს ოკალა ზაზარა ჟი-ვუ, თამ მუსორ, გრიაზ. ს ზაზარა ტრაქტორომ ზაბირაიუთ ი პრამა ნა ულიცე სჟიგაიუთ. ეთო რაზვე მოჟნო, თაკოი ანთისანითარი. აბა, ასე უქმყოფილოები თუ ხართ, ვის მისცემთ ხმასო, დავინტერესდით. - ქაქი იზლიშნე ვაპროსი ზადაიომ, ა? და ქტო ბედნომუ ნაროდუ სპრაშივავეთ, ქტო იმ ნადო. ეთო ლიშნიე ვაპროსი... - უ მენია დომა ვადი ნეთუ, პახალ ვადი პრინესცი ა თამ გაიშნიკ სთათი, გავარით, დენგი დავაი, ზა ჩტო, სლუმი... დატრილდენ მოხუცები, ახალგაზრდები მოიყვანეს, დააყენეს და ილაპარაკეთ, რა ცუდად ცვხოვრობთ, უთხარით ამათო. იმათაც თქვეს. მერე უფრო მეტი ხალხი მოგროვდა, ყველა თავისას ყვიროდა რუსულ-აზერბაიჯანულად. ბევრი ვერაფერი გავიგეთ, მაგრამ კმაყოფილი სახეები ამკარად არავის ჰქონდა. ნავედითო, ვუთხართ და უკან მოგვაძახეს: - თი ნაფიში, რანშე მი უვაჟალი ი ვერილი შევარდნაზე, ა სჩას ვერუ პათურიალი. ნაფიში, პუსთ, შევარდნადზე ფადუმეატ ა ნაროდე...

"თეთრიწყარო" 1 საქმობერს მოგზადებული შეხვდა

თეთრიწყაროს რაიონის სკოლების პირველ კლასელებს 1 სექტემბერს სახელმძღვანელოები რაიონის მასწავლებლები დეპუტატის დავით ბეჟუაშვილის თანხლებით გადასცეს. დეპუტატი ასურეთის, თეთრიწყაროსა და ჭიჭავის საშუალო სკოლებს ეწვია და სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. "ეს წინასწარჩევნო კამპანია არ გვეკონოთ, 4 წლის წინათ საგანმანათლებლო საქველმოქმედო ფონდი შევექმენი და სკოლების პირველი კლასის სახელმძღვანელოებით მომარაგებას ეს ფონდი უზრუნველყოფს," - აცხადებს ბეჟუაშვილი.

ნანა კადაბიშვილი

უფროსკლასელებს კი სახელმძღვანელოების შექმნა თვითონ უნებთ, ანუ, უსახსრობის გამო, ბევრი მათგანი წიგნის გარეშე რჩება. ასურეთში ერთი საშუალო სკოლაა, თეთრიწყაროში ერთი ქართული და ერთიც რუსული. ეს სკოლები შარშან გაუახლებიათ და მოსწავლეებმა წლევედელი სასწავლო წელი უპრობლემოდ დაიწყეს. ჭიჭავის საშუალო სკოლა კი 1 სექტემბერს მთლად მოწესრიგებული ვერ დახვდა. რემონტის დასრულება ვერ მოასწრეს და სასწავლო წელი 4 სექტემბრისთვის დაიწყო.

დას უშუქობამაც კი ვერ შეუწყო ხელი, - ხუმრობს მოსახლეობა. თანაც, სამშობიაროს ვინ ჩივის, ამბულატორიაც არ ჰქონიათ. ორი ექთანი მაინც გვეყავდეს, ამხელა სოფელში ვინმე ავად რომ გახდებოდა, რაიონის საავადმყოფოში უნდა გაიქცესო, ჩივიან ჭიჭავში მხოვრებნი. დეპუტატმა მათ ძალზე სასიამოვნო ინფორმაცია ჩაუტანა. "პარლამენტმა თქვენი სოფელი მაღალმთიან ზონაში შეიყვანა და მომავალი წლიდან სერიოზული შეღავათები გექნებათ, ხელფასებიც გაგზავრდებათ. წყალი და კარგი გზაც გექნებათ, წლისა და გზის გაკეთება ბაქო-ჯეიჰანის პროექტში არის გათვალისწინებული," - განუცხადა ბეჟუაშვილმა მოსახლეობას. ჩვენი სკოლის კოლექტივმა იცის, საპარლამენტო არჩევნებში ხმა ვისაც უნდა მისცესო, - უთხრეს დეპუტატს სკოლის მადლიერმა პედაგოგებმა.

